მოწვევა სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე

თარიღი:	**05 ოქტომბერი, 2022**
სესხის N და დასახელება:	**სესხი No. 3441-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა – მე-6 ტრანში**
კონტრაქტის N და დასახელება:	**No. UWSCG-ICB-Machinery-T6-2022.02. სპეც. ტექნიკის შესყიდვა**
სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა:	**2022 წ. 16 ნოემბერი 15:00 სთ (თბილისის დროით)**

1. საქართველომ, აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის (USIIP) მე-6 პროექტის დაფინანსებისათვის, მიიღო სესხი. კომპანია გეგმავს, სესხის ნაწილი გამოიყენოს ზემოხსენებული საქონლის შესყიდვისთვის. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) (შემსყიდველი) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან, სპეც. ტექნიკის შესყიდვაზე, როგორც ინდივიდუალური კონტრაქტის, ისე ლოტების ნებისმიერ კომბინაციაზე. კერძოდ, შემდეგი საქონლის შესყიდვაზე:

- **ლოტი 1:** 6 ერთეული თვითმცლელი მანიპულატორი, 8 ერთეული წყალმზიდი, 2 ერთეული მყარი ნარჩენების კონტეინერების გადამზიდი; UWSCG-ICB-T6-L1-Machinery-2022.02
- **ლოტი 2:** 1 ერთეული ქლორმზიდი UWSCG-ICB-T6-L2-Machinery-2022.02
- **ლოტი 3:** 2 ერთეული ევაკუატორი UWSCG-ICB-T6-L3-Machinery-2022.02
- **ლოტი 4:** 23 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი UWSCG-ICB-T6-L4-Machinery-2022.02
- **ლიტი 5:** 8 ერთეული დიდი და 6 ერთეული მცირე წნევიანი ჩამრეცხი მანქანა. UWSCG-ICB-T6-L5-Machinery-2022.02

3. საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად *„ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი“* ტენდერის ფარგლებში და ღიაა უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.

4. მინიმალური, მთავარი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს **არა მხოლოდ** შემდეგს:

<u>საკონტრაქტო გამოცდილება:</u>

- ლოტი 1: მაქსიმუმ ორი ხელშეკრულება რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 1 525 000.00 აშშ დოლარს.
- ლოტი 2: მაქსიმუმ ორი ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 31 000.00 აშშ დოლარს.
- ლოტი 3: მაქსიმუმ ორი ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 140 000 აშშ დოლარს;
- ლოტი 4: მაქსიმუმ ორი ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 1 500 000 აშშ დოლარს.
- ლოტი 5: მაქსიმუმ ორი ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 1 100 000 აშშ დოლარს.

წარმოდგენილი ხელშეკრულებები უნდა იყოს შესრულებული ბოლო 3 წელიწადში და მათი ხასიათი და სირთულე უნდა იყოს 6-ე სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოსაწოდებელი საქონლის მსგავსი.

<u>ტექნიკური გამოცდილება:</u> ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს, რომ შემოთავაზებული საქონელი ექსპლუატაციაში იყო ბოლო 3 წლის მანძილზე და ბოლო ერთ წელიწადში გაყიდული იყო, მინიმუმ შემდეგი ოდენობით:

ლოტი 1:
6 ერთეული თვითმცლელი მანიპულატორი;
8 ერთეული წყალმზიდი;
2 ერთერული მყარი ნარჩენების კონტეინერების გადამზიდი

ლოტი 2:
1 ერთეული ქლორმზიდი;

ლოტი 3:
2 ერთეული ევაკუატორი;

ლოტი 4:

23 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი

ლოტი 5:
8 ერთეული დიდი და 6 ერთეული მცირე წნევიანი ჩამრეცხი მანქანა.

<u>წარმოების მოცულობა:</u> მონაწილემ ან მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს, რომ მათ შესწევთ უნდარი უზრუნველყონ მეექვსე სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი რაოდენობის, ტიპის და ზომის საქონლის მოწოდება.

<u>ფინანსური მდგომარეობა:</u> მონაწილეს მოეთხოვება ბოლო 3 (სამი) წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტი არაა გათვალისიწნებული მონაწილის ქვეყნის კანონმდებლობით, ფინანსური ანგარიშგება უნდა იქნეს წარმოდგენილი ნებისმიერი სხვა სახით, რომელიც მისაღებია შემსყიდველისთვის. როგორც მინიმუმ, მონაწილის წმინდა მოგება უნდა იყოს დადებითი ბოლო სამი წლის განმავლობაში.

<u>საშუალო წლიური ბრუნვა.</u>
მინიმუალური საშალო წლიური ბრუნვა უნდა იყოს:

- ლოტი 1 - 3,800,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 2 - 77,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 3 - 355,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 4 - 3,800,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 5 - 2,700,000.00 აშშ დოლარი

რომელიც გამოითვლება ბოლო 3 წელიწადში მონაწილის მიერ დასრულებული ხელშეკრულებებისთვის მიღებული ჯამური გადახდებით.
<u>ნაღდი ფულის ბრუნვა:</u>
ლიკვიდურ აქტივებზე წვდომა, როგორიცაა საკრედიტო ხაზი ან სხვა ფინანსური აქტივი, რომწლიც შეადგენს:

- ლოტი 1 - 1,700,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 2 - 35,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 3 - 160,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 4 - 1,700,000.00 აშშ დოლარი;
- ლოტი 5 - 1,200,000.00 აშშ დოლარი

შენიშვნა: იმ შემთხვევაიო, თუ მონაწილე წარმოადგენს წინადადებას 2 ან მეტ ლოტზე, მოთხოვნები შეჯამდება შესაბამისად.

5. დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან“ და შეამოწმონ სატენდერო დოკუმენტები ქვემოთ მოცემულ მისამართზე 10:00-დან 17:00-მდე ადგილობრივი დროით (სამუშაო კვირის განმავლობაში):

   საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია:
   მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა 5/7
   ოთახი/სართული: 0 სართული
   ქალაქი: 0186 თბილისი
   ქვეყანა: საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 291 90 60
   ფაქსი: (995 32) 22 00 36
   ელექტრონული ფოსტის მისამართი: info.procurement@water.gov.ge
   CC: i.mazanishvili@water.gov.ge; kh.amilakhvari@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ელექტრონული ფორმატით, მას შემდეგ, რაც 5-ე პარაგრაფში მითითებულ მისამართებზე შემოვა დოკუმენტაციის გაცემაზე წერილობითი მოთხოვნა.

7. თქვენი სატენდერო წინადადება უნდა ჩააბაროთ:
   - მეოთხე პუნქტში მითითბულ მისამართზე

- **სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადამდე, კერძოდ: 2022 წლის 16 ნოემბრის 15:00 საათამდე (თბილისის დროით);**
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაციასთან ერთად, იმ ოდენობით, როგორც მოთხოვნილია სატენდერო დოკუმენტაციაში.

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვისთანავე, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

8. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ხარჯებზე, რაც პრეტენდენტებმა გაიღეს სატენდერო წინადადებების მომზადებისა თუ ჩაბარების დროს.